

**რეგისტრირებული კოოპერატივი საკრედიტო კავშირი „ხუცუბანის“
განცხადება**

დამფუძნებელ წევრთა საერთო კრების მოწვევის თაობაზე

2019 წლის 26 აგვისტოს 18 საათზე ჩატარდება რეგისტრირებული კოოპერატივი საკრედიტო კავშირი „ხუცუბანის“ დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება.

დღის წესრიგი:

1. შპს „აუდიტპროფესიონალის“ მიერ რეგისტრირებული კოოპერატივი საკრედიტო კავშირი „ხუცუბანის“ 31.12.2018 წლის ფინანსური ანგარიშგების დამოუკიდებელი გარე აუდიტორების შემოწმების დასკვნის, ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგებების განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: სამეთვალყურეო საბჭო.

2. რეგისტრირებული კოოპერატივი საკრედიტო კავშირი „ხუცუბანის“ 01.01.2018წ.-01.01.2019წ. პერიოდის წლიური შედეგების განხილვის შესახებ.

მომხსენებელი:

სამეთვალყურეო საბჭო; გამგეობა

3. სოფ. ბობოყვათის წმ. ბასილი დიდის, წმ. იოანე ოქროპირის და წმ. გრიგოლი ღვთისმეტყველის სახელობის ეკლესიის წინამძღვარის დეკანოზი მიქაელის (მამუკა სულამანიძე) 2019 წლის 6 აგვისტოს №1 მომართვის განხილვის შესახებ.

მომხსენებელი: გამგეობა

დამფუძნებელ წევრთა საერთო კრება ჩატარდება შემდეგ მისამართზე: ქობულეთი; რუსთაველის ქ. №138ა

ტელეფონი: (0426)267001; 593000375